

შპს „ასსეკო ჯორჯია“

ს/ნ: 204560965

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები

კორპორატიული ინფორმაცია	6
კომპანიის საოპერაციო გარემო.....	6
მომზადების საფუძველი	6
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
ძირითადი საშუალებები.....	7
არამატერიალური აქტივები.....	8
გრძელვადიანი ინვესტიციები	9
ფინანსური აქტივები	9
არა ფინანსური აქტივები	10
კაპიტალი	11
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11
შემოსავალი	11
მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	12
მიწოდების და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	13
არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2018-12-31	2017-12-31
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ეროვნული ვალუტა სალაროში	24	-
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	419	824
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	26
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	356	226
გადახდელი ავანსები (ფ.პ.)	136	78
ავანსად გადახდილი ხელფასები	11	4
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3	-
გაცემული სესხები	76	13
მისაღები პროცენტები	11	4
საგადასახადო აქტივი	11	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2	5
სულ მიმდინარე აქტივები	1,050	1,179
გრძელვადიანი აქტივები	-	-
გრძელვადიანი მოთხოვნა	-	11
ძირითადი საშუალებები	368	309
დაგროვილი ცვეთა	(195)	(145)
არამატერიალური აქტივები	368	364
დაროვილი ამორტიზაცია	(107)	(34)
გრძელვადიანი ინვესტიციები	1,153	511
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,587	1,017
სულ აქტივები	2,637	2,196
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	-	-
მიმდინარე ვალდებულებები	-	-
ვალდებულებები მომწოდებლებთან	169	271
მიღებული ავანსები	634	459
თანამშრომლებისთვის გადასახდელი თანხები	4	1
საგადასახადო ვალდებულებები	70	89
სულ მიმდინარე ვალდებულებები	877	820
სულ ვალდებულებები	877	820
საკუთარი კაპიტალი	-	-
საწესდებო კაპიტალი	2,146	2,146
გაუნაწილებელი მოგება	(386)	(770)
რეზერვები	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1,760	1,376
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	2,637	2,196

მოგება-ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2018
შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდებიდან	3,920
შემოსავალი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან	169
ექსპორტი	4
სულ საოპერაციო შემოსავალი	4,093
მომსახურების დანახარჯები	(1,313)
ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის ღირებულება	(90)
სულ მომსახურების დანახარჯები	(1,403)
საერთო მოგება	2,690
შრომის ანაზღაურება და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,296)
მომსახურების მიწოდების ხარჯები	(311)
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	(257)
ცვეთა და ამორტიზაცია	(124)
კაპიტალიზებული შრომითი და სხვა ხარჯები	642
საოპერაციო მოგება კაპიტალიზებული ხარჯების გათვალისწინებით	344
არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები	-
საპროცენტო შემოსავალი	7
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1
სავალუტო კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავალი	57
კონვერტაციის ხარჯი	(15)
გაუთვალისწინებელი საგადასახადო ხარჯი	(10)
სრული შემოსავალი	384
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	(770)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	(386)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(ყველა თანხა მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
წლის მოგება მოგების გადასახადის გადახდამდე	384
კორექტირებები:	-
ძირითადი საშუალებების ცვეთა	51
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	73
ფინანსური შემოსავალი	(7)
ფინანსური ხარჯი	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	502
სავაჭრო მოთხოვნების ზრდა	(119)
გადახდილი ავანსების ზრდა	(58)
სხვა მოთხოვნების ზრდა	(21)
სმფ-ს შემცირება	2
სავაჭრო ვალდებულებების შემცირება	(102)
მიღებული ავანსების ზრდა	175
სხვა ვალდებულებების შემცირება	(17)
მიღებული საპროცენტო სარგებელი	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	363
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(59)
არამატერიალური აქტივები შეძენა/შექმნა	(646)
აქტივების გასვლით მიღებული შემოსავლები	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადი	(705)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-
სესხების გაცემა	(76)
გაცემული სესხის ძირი თანხის დაბრუნება	12
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(64)
ფულის და ფულის ექვივალენტების ცვლილება	(406)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	850
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	444

კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ასსეკო ჯორჯია“ (შემდგომში „ასსეკო ჯორჯია“, „კომპანია“), ყოფილი კომპანია შპს „ონიქს კონსალტინგი“ დარეგისტრირდა 2008 წლის 15 ოქტომბერს და ის მდებარეობს საქართველოში. 2013 წლის 9 აგვისტოს კომპანიის დასახელება შეიცვალა და გახდა შპს „ასსეკო ჯორჯია“. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შექმნილია საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად და რეგისტრირებულია ძველი თბილისის რაიონული სასამართლოს მიერ საიდენტიფიკაციო კოდით: 204560965.

კომპანიის აქციონერები არიან: ASSECO POLAND S.A.-51%, ბართოლომიეი პიოტრ პაშკიევიჩ - 1%, დავით ბაზიერაშვილი - 23.20%, დავით კუპრაშვილი - 20%, გივი სართანია - 2.4%, გიორგი ონიანი - 2.4%.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია კრწანისის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., №7, ხოლო საქმიანობის განხორციელების ადგილია ფალიაშვილის ქ. №85.

ძირითადი საქმიანობა – კომპანია შემოსავალს იღებს პროგრამული უზრუნველყოფის სერვისის მიწოდებით.

კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია თავის ძირითად საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. განვითარებადი ეკონომიკა, როგორცაა საქართველოს ეკონომიკა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და ის დაუცველია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური კრიზისისგან. მიუხედავად ამისა, საქართველოში მიმდინარე საგადასახადო, ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმა, ხელს უწყობს ინვესტორებს საქართველო იყოს მათთვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე. ამასთან, გასათვალისწინებელია ზრდის სწრაფი ტენდენციები საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარზე, რაც კიდევ უფრო ზრდის საკადრო მოთხოვნას და ამვირებს შრომით დანახარჯებს ამ სექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ყველა მოვლენის პროგნოზირება, რომელსაც შესაძლოა გავლენა ქონდეს კომპანიის ფუნქციონირების შედეგებზე და მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას კომპანიის ბიზნესის მდგომარეობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის განმარტებული.

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ყველა მაჩვენებელი დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვაგვარად არ განისაზღვრა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის მიხედვით ითვალისწინებს გარკვეული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას, რომელიც უცვლელია შესადარისი პერიოდების განმავლობაში. შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივ საფუძველზე ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ასევე ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

კომპანიის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა საჭიროებს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ლარში ნაჩვენები ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარებულია ფუნქციონალური ვალუტის კურსით, რომელიც არსებობს ტრანზაქციის დღეს. პერიოდის ბოლოს, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანა მოხდება ფუნქციონალურ ვალუტაში დასკვნითი კურსის გამოყენებით, ხოლო სხვაობები შევა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში „ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების“ პოზიციაში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ განსაზღვრული ძირითადი ვალუტის გაცვლითი კურსები, რომელიც გამოყენებულია უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთის კონვერტაციისთვის შეადგენს: 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარი, ხოლო 1 ევრო = 3.0701 ლარი.

საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი

იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც იზომება ამორტიზებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღრიცხვა ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდების განსაზღვრას. საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯები შედის ფინანსირების შემოსავალში/ხარჯებში მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია თვითღირებულებებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ძირითადი საშუალებები 2018 წელს შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

ძირითადი საშუალებები	ცვეთადი ღირებულება	NBV 31.12.2017	შეძენა	ცვეთის ხარჯი	გასვლა	NBV 31.12.2018
კომპიუტერები და ოფისის აღჭურვილობა	277	134	50	40	-	145
ავეჯი და სხვა ინვენტარი	22	21	4	8	-	17
იჯარით არებული შენობის კეთილმოწყობა	10	10	5	3	-	12
სულ ძირითადი საშუალებები	309	165	59	51	-	173

ცვეთის გაანგარიშება ხდება ცვეთის წრფივი მეთოდის საფუძველზე, აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად. ცვეთად ღირებულებად განსაზღვრულია აქტივის მთლიანი ღირებულება, რადგან კომპანია არ ვარაუდობს სასარგებლო მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას.

პირველი ორი ჯგუფის შემთხვევაში ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5 წელი.

რაც შეეხება, იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობას, სასარგებლო მომსახურების ვადად მიიჩნევა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი. რათა, მიღებული ეკ. სარგებელი გადანაწილებულ იქნას მომსახურების სრულ პერიოდზე.

სხვა მცირე რემონტისა და ექსპლუატაციის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კაპიტალიზაციის პირობებს გაიწერება საოპერაციო ხარჯებში, მათი მოხდენის მომენტისთვის.

არამატერიალური აქტივები

კომპანია ფლობს, როგორც შეძენილ ისე საკუთარი ძალებით შექმნილ არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივები ფასდება თავდაპირველი ღირებულებებით, რაც შეძენილი აქტივებისთვის წარმოადგენს მათი შესყიდვის და მათ სამუშაო გარემოში გამართვასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. ხოლო საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივებისთვის მათ შექმნაზე გაწეულ შრომით და სხვა ტიპის საოპერაციო დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება მათი შექმნის პროცესს. არამატერიალური აქტივები აღიარებულია ღირებულებას გამოკლებული დაგროვებული ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5 წელი. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

აქტივების გაუფასურება

„კომპანია“ აფასებს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება ან თუ საჭიროა აქტივის ყოველწლიური შემოწმება გაუფასურებაზე და დაახლოებით აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უმაღლესი.

არამატერიალური აქტივები 2018 წელს:

არამატერიალური აქტივები	პირვანდელი ღირებულება	NBV 31.12.2017	შეძენა/შექმნა	ამორტიზაციის ხარჯი	გასვლა	NBV 31.12.2018
შემენილი ლიცენზიები	51	18	4	11	-	11
საკუთარი ზალებით შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა	313	313	-	63	-	250
სულ არამატერიალური აქტივები	364	331	4	73	-	261

გრძელვადიანი ინვესტიციები

„კომპანია“ ახდენს იმ შრომითი და სხვა საოპერაციო დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი პროდუქტების შექმნასთან. ყველა აღნიშნული ხარჯი აკუმულირდება გრძელვადიანი ინვესტიციების ანგარიშზე და მაშინ, როდესაც პროდუქტი მზადაა გასაყიდად ან შიდა გარემოში გამოსაყენებლად, ხდება მისი არამატერიალურ აქტივად აღიარება. გრძელვადიან ინვესტიციებზე გადასატანი თანხების ოდენობა განისაზღვრება ყოველი თვის ბოლოს, თითოეული პროდუქტის შექმნაზე დახარჯული სამუშაო დროის მიხედვით.

გრძელვადიანი ინვესტიციები 2018 წლის ბოლოს:

გრძელვადიანი ინვესტიციები	ღირებულება წლის დასაწყისში	2018 წელს კაპიტალიზებული თანხები	გასვლა/ჩამოწერა	ღირებულება წლის ბოლოს
ინვესტიციები პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად	511	642	-	1,153

ფინანსური აქტივები

კომპანიის ფინანსური აქტივებს შეადგენს: ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სასესო მოთხოვნები. ფინანსური აქტივები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით. ხოლო მათი შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების შენახვას აწამოებს სამუშაო ვალუტაში (ლარი).

სავაჭრო მოთხოვნები დენომინირებულია ლარში, დოლარში და ევროში. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. მომხმარებლებისგან მისაღები მოთხოვნები მოიცავს: მოთხოვნებს პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვიდან, მოთხოვნებს მხარდაჭერის მომსახურებიდან, მოთხოვნებს საინტეგრაციო და ინფრასტრუქტურული პროექტებიდან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს ანგარიშ-ფაქტურით გამოწერილ თანხებს გამოკლებული საეჭვო მოთხოვნების შესაბამისი თანხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საეჭვო მოთხოვნების თანხა ეფუძნება მოთხოვნადი ნაშთების ვადის დადგომას, გადახდის ისტორიასა და ამოღების სხვა მტკიცებულებებს. საეჭვო მოთხოვნის ნაშთები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მენეჯმენტი ჩათვლის რომ მათი ამოღება შეუძლებელია.

კომპანია განსაზღვრავს, დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის დასაშვებ დონეს, რომელიც შეადგენს 90 კალენდარულ დღეს. დასაშვებ ვადაგადაცილების დონეს განსაზღვრავს 90-დან 180 დღემდე. ხოლო 6 თვიდან 12 თვემდე ვადაგადაცილებული მოთხოვნებისთვის ქმნის 50%-იან საექვო მოთხოვნის რეზერვს. ხოლო 12 თვის და მეტი ხანდაზმულობის შემთხვევაში 100%-იან რეზერვს.

სასესხო მოთხოვნები, თავდაპირველი შეფასების შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სასესხო მოთხოვნები 2018 წლის დასაწყისში და ბოლოს შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

მოკლევადიანი სესხი	01.01.2018	31.12.2018
ძირი თანხა	13	76
მისაღები პროცენტი	4	11
ჯამური მოთხოვნა გაცემული სესხებიდან	17	87

არაფინანსური აქტივები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

2018 წლის დასაწყისში და ბოლოს კომპანიის სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საქონელი	01.01.2018	შეძენა	გაყიდვა/გასვლა	31.12.2018
გასაყიდად განკუთვნილი მარაგები	2	90	90	2
სხვა მარაგები	3	0	3	0
სულ მარაგები	5	90	92	2

გადახდილი ავანსები მოიცავს, მომწოდებლებისთვის ხელშეკრულების საფუძველზე ავანსად გადახდილ თანხებს, შეძენილი ლიცენზიების მხარდაჭერის მომსახურებისთვის ავანსად გადახდილ თანხებს, ავანსად გადახდილ ხელფასებს და საგადასახადო აქტივებს.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მოთხოვნები 2018 წლის დასაწყისში და ბოლოს წარმოდგენილია შემდეგი სახით:

მოთხოვნები	01.01.2018	31.12.2018
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	226	356
მოთხოვნები თანამშროლების მიმართ	-	3
არაფინანსური მოთხოვნები	-	-
გადახდილი ავანსები	78	136
ავანსად გაცემული ხელფასები	4	11
საგადასახადო აქტივი	-	11

კაპიტალი

კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგება/ზარალისგან.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის დასაწყისიდან პერიოდის ბოლომდე შეადგენდა **2,146.00** ათას ლარს.

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2018 წლის ბოლოს შეადგენდა **386.00** ათას ლარს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყველა ვალდებულება აღიარებულია რეალური ღირებულებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ტიპის ვალდებულებებს და ვალდებულებებს თანამშრომლების წინაშე. ხოლო არაფინანსური ვალდებულებები, მიღებული ავანსებს და ვალდებულებებს საგადასახადო ორგანოსთან.

მიმდინარე საგადასახადო პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია სასესხო პროდუქტებით. გამონაკლისს შეადგენს საბანკო გარანტიები, რომელთა გამოყენებასაც კომპანია ახდენს, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ან მიღებული ავანსების უზრუნველსაყოფად.

„კომპანია“ ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებებს (ან ფინანსური ვალდებულებების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, როდესაც ხდება მისი დაფარვა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არის შესრულებული, გაუქმებული ან ვადაგასული.

2018 წლისთვის კომპანიის ვალდებულებები მოიცავს:

ფინანსური ვალდებულებები	01.01.2018	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულებები	248	142
სხვა ვალდებულებები მომწოდებლების წინაშე	23	27
ვალდებულებები თანამშრომლების წინაშე	1	4
არაფინანსური ვალდებულებები		
გადასახდელი გადასახადები	89	70
მიღებული ავანსები	459	634
სულ ვალდებულებები	820	877

შემოსავალი

შემოსავლების აღიარება ხდება ფასს 15 - ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. რაც გულისხმობს, კუმულაციური ეფექტის ასახვას კაპიტალზე. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია ასრულებს თავის ვალდებულებებს მომხმარებელთან ხელშეკრულებით შეთანხმებული მომსახურების გაწევის გზით, შემოსავლების ოდენობა შეიძლება შეფასდეს საიმედოდ და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან მოიცავს:

- პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურებას,
- დეველოპმენტ სერვისს,
- პარტნიორი კომპანიების პროგრამების საინტეგრაციო სერვისის ადგილობრივ ბაზარზე
- მხარდაჭერის მომსახურებას დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფისთვის,

- საკუთარი ძალებით შექმნილი და პარტნიორი კომპანიების ლიცენზიების გაყიდვის საშუალებით.

შემოსავლები პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვიდან, დეველოპმენტ სერვისიდან და საინტეგრაციო პროექტებიდან აღიარდება ეტაპობრივად, ჩაბარებული მოდულების მიხედვით, როდესაც კლიენტის მხრიდან მოხდება აღნიშნული მოდულის გატესტვა და ჩაბარება. ხოლო, მხარდაჭერის მომსახურების აღიარება ხდება ყოველი თვის ბოლოს, რეგულარული და უწყვეტი მომსახურებების აღიარების პრინციპის შესაბამისად. ლიცენზიების გაყიდვა აღიარდება კლიენტისთვის მისი გამოყენების უფლების გადაცემის მომენტში, როდესაც მოხდება მისი კლიენტის სამუშაო გარემოში გამართვა და მყიდველის მხრიდან გადაცემული ლიცენზიის ავთენტურობის დადასტურება.

ფასს 15-ის მიხედვით, გრძელვადიანი კონტრაქტებით განსაზღვრული შემოსავლის აღიარება ხდება კონტრაქტის ფარგლებში გაწეული შრომითი დანახარჯის პროპორციულად.

2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ასევე განახორციელა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც გულისხმობს ინფრასტრუქტურული აპარატურის მიწოდებას და ინსტალაციას დამკვეთის ლოკაციაზე.

2018 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

შემოსავალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის მომსახურებიდან	2,844
შემოსავალი მხარდაჭერის მომსახურების გაწევიდან	1,076
შემოსავალი ინფრასტრუქტურული პროექტებიდან	169
ექსპორტი	4
სულ შემოსავალი	4,093

მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ხარჯები დაყოფილია ლიცენზიების და ინფრასტრუქტურული აღჭურვილობის თვითღირებულებად და საოპერაციო ნაწილის თანამშრომლების ხელფასებად. აქ მოიაზრებიან ადამიანები, რომლებიც უშაულოდ არიან ჩართული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესში.

2018 წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ შეძენილი ლიცენზიების და დანერგვის სერვისების ჯამური ღირებულება შეადგენდა **1,313 ათას** ლარს. კომპანია იყენებდა გარე წყაროებიდან რესურსებს, დეველოპერული, დიზაინერული და საკონსულტაციო მომსახურებების სახით.

2018 წელს გარე წყაროებიდან შეძენილი მომსახურებები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

შეძენილი ლიცენზიების მხარდაჭერის მომსახურება	16
დეველოპერული მომსახურება	186
დიზაინერული მომსახურება	17
კადრების შეჩვევის მომსახურება	3
საკონსულტაციო მომსახურება	89
სულ შეძენილი მომსახურებები	311

მიწოდების და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2018 წლის განმავლობაში მიწოდების და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა:

ცვეთა და ამორტიზაცია	124
ოფისის იჯარა	119
ავტომობილის იჯარა და საექსპლუატაციო ხარჯი	11
მივლინება	20
კომუნიკაციის ხარჯები	56
სხვა საერთო ხარჯი	52
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	382

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

2018 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ხარჯები და შემოსავლები მოიცავდა:

გადაფასებიდან მიღებული შემოსავლები	57
შემოსავლები მიღებული ფასდაკლებებიდან	1
საპროცენტო შემოსავლები	7
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	66

საპროცენტო შემოსავლები უკავშირდება, კომპანიის მიერ თანამშრომლებზე გაცემული მოკლევადიანი სესხებიდან მისაღებ პროცენტებს. ურთიერთდამიკიდებულების გათვალისწინებით, საპროცენტო განაკვეთად აღებულია ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი სესხის გაცემის მომენტისთვის.

არასაოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია კონვერტაციის ხარჯების სახით, რომელიც 2018 წლის განმავლობაში შეადგენდა **15.00** ათას ლარს.

დირექტორი: დავით ბაზიერაშვილი

ხელმოწერა: _____